



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი



წლიური ანგარიში
2020

სარჩევი

რაოდენობრივი მაჩვენებლები - 2020.....	3
პროგრამები	3
სტუდენტები	4
ხარისხის უზრუნველყოფა	5
სამეცნიერო კვლევები.....	7
ინტერნაციონალიზაცია	8
სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა	11
უწყვეტი განათლება.....	12
კონტრიბუცია.....	13
მულტიმედია ცენტრი	14
სტუდენტური ცხოვრება.....	16
ბიბლიოთეკა.....	17
სამართლის ფაკულტეტი	21
მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტი.....	22
ბიზნესის ფაკულტეტი	24
მედიცინის ფაკულტეტი	25

რაოდენობრივი მაჩვენებლები - 2020

პროგრამები

აკრედიტებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები - 8



1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები - 4

1. მედიცინის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
2. მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - 6

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები - 4

1. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1

1. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 1

1. საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2020 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე **2774** აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

2020 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 517 სტუდენტს.

2020-2021 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხა 465, საერთო სამაგისტრო გამოცდებით 193, ხოლო სადოქტორო პროგრამებზე (შიდა გამოცდები) – 60 სტუდენტი.

ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვა

#	საგანმანათლებლო პროგრამა	გამოცდების ეროვნული ცენტრის სიებით ჩარიცხული
1.	ფინანსები	19
1.	მენეჯმენტი	29
2.	ტურიზმი	36
3.	სამართალმცოდნეობა	75
4.	საერთაშორისო ურთიერთობები	39
5.	ჟურნალისტიკა	30
6.	მედიცინა	90
7.	სტომატოლოგია	40
8.	ფარმაცია	45
9.	მედიცინა (ინგლისურენოვანი)	2
10.	ქართული მევენახეობა-მეღვინეობა	60
11.	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	0
ჯამი		465

საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხვა

#	პროგრამა	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	სამართლის სამაგისტრო	77



2	საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო	23
3	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო	30
4	საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო	29
5	ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო	24
6	მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამა	10
ჯამი		193

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტთა ჩარიცხვა

#	პროგრამა	ჩარიცხულთა რაოდენობა
1	სამართლის სადოქტორო	12
2	პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო	23
3	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო	25
ჯამი		60

ხარისხის უზრუნველყოფა

2020 წლის განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით -

- ავტორიზაციის პილოტირება;
- ახალი პროგრამების აკრედიტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;
- თვითშეფასების ფორმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება;
- ავტორიზაციის პროცესისათვის უნივერსიტეტის მომზადება;
- სტუდენტების ონლაინ გამოკითხვების შეფასება და ანალიზი;
- აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტების ორგანიზება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:
 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების მიზნით განხორციელებული პროცესებისა და ჩატარებული ღონისძიებების შეფასებასა და ანალიზს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარება მოიცავს: ა) კვალიფიციური პერსონალის შერჩევას დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიხედვით; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგებს, მათი გადამზადების მიზნით.

უნივერსიტეტის ხარისხის პოლიტიკა გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორებისა და სპეციალისტების გადამზადებისა და განვითარების სისტემის გაუმჯობესებას სპეციალური პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების სამომავლოდ შემუშავებისა და დანერგვის გზით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამსახურის კოორდინატორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სისტემატურად ტარდება ტრენინგები, რომლებიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპული სააგენტოების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორებთან სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით -

ონლაინ სწავლების დროს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარების გამომუშავების შესახებ;

ხარისხის პროცედურები, პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება ონლაინ სწავლების დროს;

სალექციო პროცესის ხარისხის კვლევა, სასწავლო რესურსების, სტუდენტებისა და პროფესორების სასწავლო და სამუშაო გარემოს ხარისხის შემოწმება აუდიტორიაში და ონლაინ სწავლების დროს;

2. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებისა და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება და გაანალიზება. ამ ეტაპის მიზანია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასოს და გაანალიზოს რამდენად სწორი და დროული იყო საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელება, შეესაბამება თუ არა პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგები პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებს.

საინფორმაციო სისტემის ხარისხის მართვაში გამოიყენება, პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

2019-2020 სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მივიღეთ:

1. ახალი სასწავლო კურსებით გამდიდრებული, არასაჭირო სასწავლო კურსებისგან გამოთავისუფლებული, უფრო დახვეწილი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები;
2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სახელწოდებაშეცვლილი სასწავლო კურსები, დაკორექტირებული კრედიტებით, წინაპირობებით, სწავლა-სწავლების მეთოდებით, შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით;
3. თანამედროვე ქართული და უცხოური ლიტერატურითა და დამხმარე მასალებით შევსებული და განახლებული სილაბუსები;
4. რაც მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნა პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებელთა და გარე ექსპერტთა რჩევები და რეკომენდაციები. ამას შედეგად მოჰყვა სტუდენტთა კმაყოფილება, რაც უნივერსიტეტისა და მისი სტრატეგიული განვითარების მთავარი მიზანია.
5. 2019-2020 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ჩატარდა 11 კონკურსი აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად; შედეგადაც აკადემიურ თანამდებობებზე შეირჩა 134 კანდიდატი. აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნა 25 პროფესორი; 64 - ასოცირებული პროფესორი; 37 - ასისტენტ-პროფესორი და 8 - ასისტენტი.

დისტანციური, ელექტრონული სწავლების პროცესი

დისტანციური და ელექტრონული სწავლების ხელშეწყობისათვის განხორციელდა -

1. საგამოცდო პროცესის მაქსიმალური კომპიუტერიზაცია;
2. ბიბლიოთეკაში სავალდებულო ლიტერატურის ნაბეჭდი ეგზემპლარების რაოდენობის გაზრდა;
3. ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაზე ზრუნვა;
4. ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება, რისთვისაც იგეგმება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რეკრუტურთა ქსელის გაფართოება; ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო (პარტნიორ) უნივერსიტეტებთან; პარტნიორ უნივერსიტეტებთან პროფესორებისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროექტების მომზადება - „ერაზმუს +“ ფარგლებში.

სამეცნიერო კვლევები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შემუშავებულია სამეცნიერო კვლევების სტრატეგია, რომლის თანახმადაც სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი 2020 წელს ახორციელებდა საქმიანობას. სამოქმედო გეგმა გაიწერა შემდეგი პრინციპების მიხედვით:

1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარება;
2. ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით საქმიანობაში;
3. ახალგაზრდა მეცნიერების და ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართვა კვლევით პროცესში;
4. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში აკადემიური პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერების მონაწილეობის დაფინანსება ან/და თანადაფინანსება;
5. კვლევის შედეგების ინტეგრირება სასწავლო საქმიანობაში;
6. თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან და ერთობლივი კვლევითი პროექტების წარმოება;
7. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
8. მულტიდისციპლინური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის შექმნა;
9. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების განვითარება.

უნივერსიტეტში ტარდება კონკურსები შემდეგი სამეცნიერო გრანტებისთვის:

- „მცირე გრანტები“;
- გრანტები ფუნდამენტური კვლევებისთვის;
- გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დასაფინანსებლად კვლევებისთვის;
- მეცნიერების და ახალგაზრდა მკვლევრების თანადაფინანსებისთვის სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან სამეცნიერო გრანტების მოსაზიდად.

2020 წელს დასრულდა 3 პროექტი; გადავადებულია 2 პროექტი. გამოიცა 2 მონოგრაფია, 1 კრებული და 1 სამეცნიერო ჟურნალი; ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთათვის ჩატარდა VIII საერთაშორისო კონფერენცია; მეორედ ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „თამარი“;

უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებაში - „მეცნიერება კაპიტანია“.

ინტერნაციონალიზაცია

2020 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს კიდევ უფრო გაფართოება და განხორციელებული აქტივობების დივერსიფიკაცია. ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების საერთო რაოდენობა გაიზარდა და გახდა 76. დაგეგმილი იყო სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

2020 წელს ქვეყანასა და მსოფლიოში COVID-19 ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მკვეთრად შეცვალა დეპარტამენტის აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები. სამწუხაროდ, საზღვრების დახურვის, ე.წ. „ლოქდაუნის“, ეკონომიკური სიძნელებისა და სხვა რიგი მიზეზების გამო, დაგეგმილი მობილობისა და გაცვლითი პროგრამების უმრავლესობა ვერ განხორციელდა. აღინიშნებოდა, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტების მოწოდება, რომ თავი შეგვეკავებინა 2020 წელს გაცვლითი პროგრამების განხორციელებისგან, ისევე სტუდენტებისა და პერსონალის ინტერესის ამგვარ აქტივობებში ჩართვის ნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მდგომარეობა საერთო იყო ევროპის და ზოგადად მსოფლიოს უსდ-ებში. ამიტომ ევროკომისიის გადაწყვეტილებით „Erasmus+“-ის ფარგლებში ყველა აქტივობის განხორციელების ბოლო ვადა გადატანილ იქნა ერთი წლის ვადით.

2020 წელს COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგად ვერ მოხერხდა შიდასაუნივერსიტეტო აქტივობების მოწყობა ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობის მიზნით. მიუხედავად სიტუაციის არაპოზიტიური დინამიკისა, 2021 წლისთვის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უცხოურ უნივერსიტეტებსა და სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულება საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვას დისტანციური საშუალებების უფრო აქტიური გამოყენებით გეგმავს. ასევე, მიმდინარეობს პარტნიორებთან ონლაინ გაცვლით პროგრამებზე მოლაპარაკება.

2020 წელს COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის შედეგად ვერ მოხერხდა უცხოელი პროფესორის, მკვლევრის მოწვევა უნივერსიტეტში. თუმცა მედიცინის მიმართულებით, მოხდა ამგვარ ღონისძიებებში ჩვენი სტუდენტების ონლაინ ჩართვა.

1. 2020 წლის 20 ნოემბერი - სოკოვანი და რქოვანას ატიპიური ინფექციების შესახებ საერთაშორისო ვებინარი;
2. 2020 წლის 18-23 დეკემბერი - 6 დღიანი კურსი თემაზე - „შესავალი მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტომატოლოგიაში“; **დღე 1:** შესავალი მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტომატოლოგიაში (EBD), **დღე 2:** მკაფიო კითხვის განსაზღვრა EBD- ში, **დღე 3:** მტკიცებულებებზე დაფუძნებული რესურსების ძიება, **დღე 4:** ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, ნაწილი 1, **დღე 5:** ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, ნაწილი 2, **დღე 6:** მტკიცებულებების გააზრება;
3. 2020 წლის 16 ნოემბერი - „საერთაშორისო მიკრობიოლოგიის ვებინარების სერია; ფუნქციონალური საკვები: პრობიოტიკები“;
4. 2020 წლის 16 ნოემბერი - „როგორ ვიპოვოთ სტომატოლოგიურ მეცნიერებაში მიმზიდველი თემები სისტემატური მიმოხილვების დასაწერად?“.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ხელს უწყობს, ამზადებს და შეაქვს „ერაზმუს+“ პროგრამაში მონაწილეობის პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. 2020 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიტანა მობილობისა და ინსტიტუციური განვითარების პროექტები შემდეგ უნივერსიტეტებთან ერთად:

1. Erasmus+ KA107 - ალკალას უნივერსიტეტი (მადრიდი, ესპანეთი);
2. Erasmus+ KA107 - ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტი (ვროცლავი, პოლონეთი);
3. Erasmus+ KA107 - შიაულის სახელმწიფო კოლეჯი (შიაული, ლატვია);
4. Erasmus+ KA107 - დასავლეთ ატიკას უნივერსიტეტი (საბერძნეთი);
5. Erasmus+ KA107 - კალიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი (კალიპედა, ლიტვა);
6. Erasmus+ KA107 - ბურგოსის უნივერსიტეტი (ესპანეთი);
7. Erasmus+ KA107 - ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი);
8. Erasmus+ KA107 - ველიკო ტარნოვოს უნივერსიტეტი (ბულგარეთი);
9. Erasmus+ KA107 - ომის კვლევების უნივერსიტეტი (პოლონეთი);
10. Erasmus+ KA107 - ბიზნესისა და მეწარმეობის კოლეჯი (პოლონეთი);
11. Erasmus+ KA107 - ბიზნესის უმაღლესი სკოლა, ლუის ეროვნული უნივერსიტეტი (პოლონეთი);
12. Erasmus+ KA107 - მენდელუს უნივერსიტეტი (ჩეხეთი);
13. Erasmus+ Youth Project - Break the wall of differences, კალიპედას გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლიეტუვა);
14. Erasmus+ K2 / CBHE – Technology and Innovation in Management of Education and Research at Georgian HEIs (TIMER), უდიმას უნივერსიტეტი (ესპანეთი);
15. Erasmus+ K2 / CBHE - Enhancing University Capacities in Armenia, Belarus and Georgia for international Mobility, ნიშნის უნივერსიტეტი (სერბეთი);
16. Erasmus+ K2 / CBHE - University Industry Links in Applied Bio Sciences in Georgia and Ukraine: from Undergraduate to Doctorate, ტერამოს უნივერსიტეტი (იტალია);
17. Erasmus+ K2 / CBHE - One health. Food Safety Based on European Experience, ოდესას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი (უკრაინა).

II - სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება

2020 წელს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით განხორციელდა სტუდენტების შემდეგი მობილობა და გაცვლითი პროგრამები:

- 1) 2020 კალენდრული წლის გაზაფხულის სემესტრში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, აკადემიური მობილობის ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 1 სტუდენტი გაემგზავრა სასწავლებლად ლოდის უნივერსიტეტში (ქ. ლოდი, პოლონეთი).
- 2) 2020 კალენდრული წლის გაზაფხულის სემესტრში „ერაზმუს +“-ის პროგრამის ფარგლებში კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის 1 სტუდენტი გაემგზავრა სასწავლებლად ნოვი სონჩის ბიზნეს სკოლა - ლუის ეროვნულ უნივერსიტეტში (ქ. ნოვი სონჩი, პოლონეთი).

III - საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარებაზე ზრუნვა

2020 წელს დადებული მემორანდუმები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები -

1. საერთაშორისო ევროპული უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა;
2. მენდელუს უნივერსიტეტი, მენდელუ, ჩეხეთი;
3. Tres de Febrero-ს ეროვნული უნივერსიტეტი, ბუენოს აირესი, არგენტინა;
4. ისტანბულ აიძინ უნივერსიტეტი, სტამბოლი, თურქეთი;
5. STEKOM უნივერსიტეტი (ინდონეზია);
6. ბალტიის საერთაშორისო აკადემია, (რიგა) ლატვია.

IV - 2020 წელს ჩატარებული საქმიანი შეხვედრები/ტრენინგები/სიმპოზიუმები

1. 2020 წლის 18-ან 20 მაისის ჩათვლით ჩატარებული სიმპოზიუმი-ვებინარი სახელწოდებით - „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია კორონავირუსის კრიზისის დროს“. 3 დღიანი ღონისძიება შედგებოდა 5 პანელისგან; მათ შორის, 3 სპეციალურ თემაზე: „უსდ-ების პოლიტიკის ცვლილება კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის დროს და მის შემდეგ“, „ელექტრონული სწავლება კორონავირუსის დროს“ და „პოსტ საკარანტინო გამოწვევები სამედიცინო მეცნიერებათა განათლებაში“.

2. 2020 წლის 9 ნოემბერს ფლამანდიური განათლებისა და სწავლების სამინისტრო და EPFIME პროექტის პარტნიორების მიერ ორგანიზებული ინკლუზიური მობილობის ვებინარი „Making mobility programmes more inclusive for students with disabilities“.

3. 2020 წლის 14-15 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - "ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება", რომელსაც უძღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი, ნოტინგემ ტრენტის უნივერსიტეტის პროფესორი, ვანგელის ტსილიგირისი.

V - ინფორმაციის გავრცელება არასაუნივერსიტეტო საერთაშორისო პროექტებისა და პროგრამების შესახებ

1. 2020 წლის 8-10 მაისი, განვითარებისა და ეკონომიკის მე -4 საერთაშორისო კონფერენცია, კალამატა, საბერძნეთი - პელოპონესის უნივერსიტეტის (საბერძნეთი);
2. 2020 წლის 21 ოქტომბერი - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს - JICA-ს მიერ დაგეგმილი გრძელვადიანი პროექტის - „SDG Global Leader JFY (2021-2023)“ ფარგლებში გათვალისწინებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესახებ ინფორმაცია;
3. ინფორმაცია სასტიპენდიო პროგრამაზე - Internationales ExzellenzStipendienprogramm (IES).

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა

მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო კარიერული განვითარების სამსახურის ძირითადი სერვისიც 2020 წელს გადავიდა დისტანციურ რეჟიმში. შესაბამისად, კორპორაციული ელექტრონული ფოსტისა და სამსახურის FB-გვერდის მეშვეობით სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გადაგზავნილი იქნა პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა კომპანიების 110-მდე ვაკანსია და ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა 5 პროფესიული დღესასწაული აღნიშნა; მათ შორის - ადვოკატის, აღმასრულებლების, ქართული დიპლომატიის, ფარმაცევტის პროფესიული დღეები, ტურიზმის საერთაშორისო დღე.

2020 წელს ჩატარდა პირველი დისტანციური დასაქმების ფორუმი -

1 დეკემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით დისტანციური დასაქმების ფორუმი ჩატარდა. დასაქმების ფორუმი ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს სამსახურის მაძიებელმა სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა საჯარო და კერძო სექტორიდან. ფორუმი ჩატარდა ორ ნაწილად:

I ნაწილი - ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის;

II ნაწილი - მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის.

ფორუმში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ - შემოსავლების სამსახური, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, შპს „ტელე იმედი“, ს.ს. „თბილღვინო“, შპს „ციტადელი“, სადაზღვევო კომპანია „ევროინს ჯორჯია“ და სხვა.

მეორე სესია დაეთმო სამედიცინო სექტორის რამდენიმე მსხვილი დამსაქმებლის პრეზენტაციას, მათ შორის „ევექსის“ ჰოსპიტლებს, რომელიც აერთიანებს 18 ჰოსპიტალს, ფარმაცევტულ კომპანია „გეფას“ („ფარმადეპო“ და „ჯიპისი“), რომელიც აერთიანებს 300-ზე მეტ აფთიაქს, და „ნეოფარმა“-ს 60-მდე ფილიალით. დასაქმების ფორუმის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას. პრეზენტაციის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ დამსაქმებლის მიერ შეთავაზებულ ვაკანსიებს. მიიღეს დეტალური ინფორმაცია კომპანიების საქმიანობის, სამუშაო განრიგის, ანაზღაურებისა და სხვა პირობების შესახებ.

ასევე, სამსახურმა ადმინისტრირება გაუწია სტუდენტთა კარიერული კომპეტენციის განვითარების მიზნით - ვებინარების ციკლს. პირველი ვებინარი „რეტკოს“ HR ჯენერალისტს,

გვანცა ანთიძეს დაეთმო თემაზე: „CV/რეზიუმეს შედგენის ტექნიკები“. მეორე ვებინარზე სტუდენტების წინაშე წარდგა დასაქმების პლატფორმა „ჰიროსა“ და ტრენინგ ცენტრ „ერუდიოს“ ხელმძღვანელი, თამარ მესხიძე თემით: „სამუშაოს ძიების ხერხები“, მესამე ვებინარს კი კომპანია „ნეოფარმის“ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ნატო დურგლიშვილი წარუძღვა თემაზე: „ნაბიჯი წარმატებული კარიერისკენ“.

უწყვეტი განათლება

უწყვეტი განათლების სამსახური ზრუნავს საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებაზე, კვლევაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნასა და განხორციელებაზე. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებას საშუალება მისცეს, გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური განათლების მისაღებად საფუძვლების შექმნისათვის.

უწყვეტი განათლების სამსახურმა შეიმუშავა განსახორციელებელი კურსების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

უწყვეტი განათლების სამსახური 2020 წელს მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:

- გეგმავდა და ახორციელებდა კსუ-ს სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისა და პერსონალისთვის პროფესიული და პიროვნული საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამის გრძელვადიან ან მოკლევადიან ტრენინგებს/კურსებს;
- ორგანიზებას უწევდა პროფესიული განვითარების მიმართულებით დისკუსიებს, თემატურ სემინარებს, კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა სახის აქტივობებს.
- ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ატარებდა სხვადასხვა სახის სემინარებს; კურსების შემუშავებისას უწყვეტი განათლების სამსახური ეფუძნებოდა ბაზარზე არსებულ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. გამოკითხვისა და სხვა სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვრავდა სხვადასხვა კურსების საჭიროებას.

უწყვეტი განათლების სამსახურმა 2020 წელს განახორციელა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სხვადასხვა სახის კურსები:

• ჩატარდა ტრენინგი „Google Meet პლატფორმის გამოყენება დისტანციურ სწავლებაში“. მოხდა ამ პლატფორმის მორგება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე; შეიქმნა შესაბამისი ჯგუფები (მენეჯერები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები) და გზამკვლევები, რომლებიც ატვირთულია youtube-ზე და ლინკები დაგზავნილია მომხმარებლებთან.

ტრენინგები ჩატარდა ორ ჯგუფთან:

1. უნივერსიტეტის ტოპ მენეჯმენტი და მონიტორინგის სამსახური;
 2. უნივერსიტეტის ხუთივე დეკანატის წარმომადგენლები (ორ ნაკადად) სულ ტრენინგი გაიარა 41-მა თანამშრომელმა.
- პროფესორ-მასწავლებელთათვის, ფაკულტეტების სპეციალისტებისა და საგამოცდო ცენტრის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი moodle-ის სისტემაში.
 - ჩატარდა ტრენინგი - „პერსონალის მართვის პოლიტიკა და დაგეგმვა სასწავლო დაწესებულებებში. HR სისტემები და თანამედროვე მენეჯმენტი“. გადამზადდა 1 თანამშრომელი უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

- უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით მუდმივ რეჟიმში ტარდებოდა ლექციები.
- ინგლისური ენის პედაგოგებისთვის ტარდებოდა ტრენინგი: „Pre-Celta Training – Education and Training International“.

კონტრიბუცია

სასკოლო-საგანმანათლებლო/შემეცნებითი პროექტები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი კონტრიბუციის მიზნით მუდმივად ახორციელებს საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო/შემეცნებით აქტივობებს.

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

სასკოლო - საგანმანათლებლო პროექტები:

- იანვარი - „რა სურს თანამედროვე ახალგაზრდობას“ - ჩატარდა 50-მდე სკოლის

თვითმმართველობასთან შეხვედრები;

- „აფხაზეთში სტრატეგიული პროექტების განხორციელების ჯგუფმა („SPIGA“) პროექტის - „მოგზაურობა 2019/2020“ ფარგლებში ჩატარა კონკურსი; ის ემსახურება აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართულობას; რუსეთის ოკუპანტი ძალისა და სეპარატისტული რეჟიმის მიერ აკრძალულ ქართულ ენაზე სწავლების ხელშეწყობას;
- იანვარი-თებერვალი - მასტერკლასები;
- თებერვალი-მარტი - ქიმიის გაკვეთილი კსუ-ში, თბილისის საჯარო სკოლები - N 113,

N 69, N 177, N 175, N 172;

- სულხან მელაძე - „ჩვენი დროების თავისებურებანი და მედია“;
- ზაზა ცოტიაშვილი - „წარმატების ფორმულა“;
- რუსუდან კვარაცხელია - „საუბრები ფოტოხელოვნებაზე“.
- თებერვალი - ფოტოკონკურსი „დაინახე სხვა თვალით“ - თბილისის საჯარო სკოლები

- N 155, N 150, N 23, N 69, N 98, N 177.

მულტიმედია ცენტრი

მულტიმედია ცენტრის შემეცნებითი პროექტები

მულტიმედია ცენტრი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც თანამედროვე მედიატექნოლოგიებთან ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების წვდომისა და კონკურენტუნარიანი მედიაპროდუქციის მომზადების მიზნით, უზრუნველყოფს:

- სალექციო კურსებზე დაფუძნებული მედიაპროდუქციის შექმნას;
- სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზაციას;
- სასწავლო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი და მხატვრულდოკუმენტური აუდიო, ბეჭდური და ვიდეო მედიაპროდუქციის წარმოებას;
- მედიაარქივის შექმნას, განახლებასა და განვითარებას;
- ერთობლივი პროექტების განხორციელების და ცენტრის ბაზაზე შექმნილი მედიაპროდუქციის გავრცელების მიზნით, მედია საშუალებებთან თანამშრომლობას. მულტიმედია ცენტრი, უნივერსიტეტის მისიის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ემსახურება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრუქტურული ერთეული აყალიბებს განვითარების გეგმას.

I - სასწავლო პროცესის პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფა

მულტიმედია ცენტრი მუდმივად უწყობს ხელს ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესს.

2020 წლის განმავლობაში მულტიმედია ცენტრის ბაზაზე, კონკრეტული სალექციო კურსების ფარგლებში, მომზადდა არაერთი მედიაპროდუქტი.

მიუხედავად კორონავირუსის (COVID-19) მსოფლიო პანდემიისა, რომელმაც შეაფერხა გადაღებებისა და რესპონდენტებთან უშუალო კომუნიკაცია, მულტიმედია ცენტრმა, სტუდენტებთან ერთად, შეძლო თემატური, არანაკლებ საინტერესო და აქტუალური მასალების დასრულება.

ტელეგადაცემები:

- ხმა იზოლაციიდან;
- კარანტინის დღეურები - ბესო სოლომონაშვილი;

რადიოგადაცემები:

- ლადო აფხაზავა;
- ღვინის ფესტივალი;
- მასტერშეფი;
- დილის სიხშირე;
- რადიოხმა - მარიამ ჩიტაური;
- დილის რადიოგადაცემა - იანუსი;
- მსოფლიოში უნიკალური „ქვევრისა და ქვევრის ღვინის მუზეუმი“ ;

- შემდეგი სადგური;
- მარუსას კარზე აკაკუნებენ.

სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა; მომზადდა შემდეგი მასალა მულტიმედია ცენტრის პროექტისთვის - „ავტოგრაფი“ ბესო არბოლიძევილი;
 „დიდი სიყვარულის პატარა ისტორია“ - მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, გენერალ კოტე აფხაზის ვაჟის, ნიკოლოზისა და მისი მეუღლის, მარჯორი პეგი ჰემბერტონ-კარტერ აფხაზის შექმნილი „სიყვარულის ბაღის“ შესახებ.

სტუდენტებმა დაწერეს და ვიზუალურად გააფორმეს არაერთი ბლოგი, რომელიც მულტიმედია ცენტრის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი -

- ქალები, რომლებმაც საქართველოს ისტორია შეცვალეს;
- „თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყოველსა“ – ილია ჭავჭავაძე;
- უპატრონო ძაღლების პრობლემა;
- გიორგი შერმადინი: „პროფესიონალი სპორტსმენი ჩემპიონობისკენ უნდა ისწრაფოდეს!“;
- სტრიტ არტისტის პორტრეტი;
- გიორგი კვესელაძე: „ჩემი მიზანია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ბევრი წარმატება მოვუტანო!“;
- მრავალმხრივი ხელოვანი. ბეჭდური მედიის ნაწილში სტუდენტებმა იმუშავეს შემდეგ გამოცემებზე:
- სასწავლო გაზეთი - „ანარეკლი“; სასწავლო გაზეთი - „ანარეკლი“.

II - მულტიმედია ცენტრის ინიცირებული ღონისძიებები, გამოცემები და წარმოებული პროდუქციის შეფუთვის უზრუნველყოფა

- გამოიცა „კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკის“ ხუთენოვანი სახელმძღვანელო.
- 2020 წელს გამოიცა უნივერსიტეტის საიმიჯო გაზეთის - „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ სამი ნომერი.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით, დამონტაჟდა საპრეზენტაციო კლიპები საერთაშორისო პროექტისთვის - „მეცნიერება კაპიტანია“
 - „ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე“ - სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ეკრანიზაცია;
 - ქართული მევენახეობა და მეღვინეობა - უძველესი ტრადიციების თანამედროვე სამეცნიერო მიდგომები;
 - ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული გზა.
- გაიმართა საგანმანათლებლო პროექტის - „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა“ ონლაინ პრეზენტაცია.

➤ განხორციელდა პროექტი - „მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა და ნაციონალური იდენტობის იდეა“;

პროექტი კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ (GCLA), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრმა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სტუდენტური ცხოვრება

2020 წელი განსხვავებული იყო სტუდენტური ცხოვრების თვალსაზრისითაც. პანდემიის პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა განხორციელება დაგეგმილი ღონისძიებებისა, რომელიც მრავალმხრივი უნდა ყოფილიყო სტუდენტური მიმართულებით. თუმცა, ექსტრემალურ პირობებშიც საკმაოდ ნაყოფიერი იყო 2020 წლის შედეგები -

- ❖ 2020 წლის მარტიდან ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მთავრობამ დაიწყო მედიცინის მოხალისე სტუდენტების ორგანიზება და გადანაწილება სხვადასხვა რაიონში/რეგიონში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით შეგროვდა კსუ-ს 40-ზე მეტი სტუდენტი, რომლებიც განაწილდნენ თბილისის მასშტაბით სხვადასხვა რაიონსა და რეგიონების ცხელების ცენტრებში. მოხალისე სტუდენტთა ნაწილი ჩართული იყოს სამედიცინო მიმართულებით ექიმების დახმარებაში, ხოლო სტუდენტთა ნაწილს ბენეფიციარებთან სახლში მიჰქონდათ პროდუქტი და წამლები.
- ❖ პანდემიის პირობებში ჩვეული ფორმატით ვერ ჩატარდა საქართველოს საუნივერსიტეტო ფესტივალი, თუმცა აქტიური სპორტული სახეობების უქონლობის პირობებში უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა ონლაინ თამაშებმა: საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ჩემპიონატი ელვისებურ ჭადრაკში, უნივერსიტეტებს შორის (მონაწილეობას იღებდა კსუ-ს 3 სტუდენტი), ონლაინ ჩემპიონატი კიბერსპორტში (მონაწილეობას იღებდა კსუ-ს 4 სტუდენტი).
- ❖ პანდემიის შედარებით მშვიდ პერიოდში უნივერსიტეტმა დაგეგმა და განხორციელა რამდენიმე გასვლითი ღონისძიება სტუდენტებისათვის:
 - თებერვალში დაბა ფასანაურში გაიმართა ზამთრის ფრენბურთის ჩემპიონატი. მონაწილეობას იღებდა კსუ-ს სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომელმაც შეძლო მე-2 ადგილის დაკავება;
 - თებერვალში თბილისის მერიის მხარდაჭერით დაბა ბაკურიანში მოეწყო 4 დღიანი ზამთრის ბანაკი. მონაწილეობას იღებდა კსუ-ს 80 სტუდენტი.
- ❖ 2020 წლის სეზონი აქტიურად დაიწყო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდისთვის. საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატის „ა ლიგის“ გათამაშების რეგულარული სეზონი პირველი წრის შემდეგ გუნდი ძალიან ლამაზ და ძლიერ კალათბურთს აჩვენებდა. გუნდი სრულად

განახლებული შემადგენლობით წარდგა გულშემატკივრის წინაშე და უმაღლეს ლიგაში გადასვლის პერსპექტივაც რეალური ჩანდა, თუმცა, სამწუხაროდ, პანდემიის გამო საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იძულებული გახდა სეზონი ჩაეშალა.

- ❖ წარმატებული სეზონი ჰქონდა კსუ-ს ფუტსალის გუნდს. მიუხედავად პანდემიისა, საქართველოს ჩემპიონატის ფუტსალის ჩემპიონატი არ ჩაშლილა და ჩვენთვის წარმატებითაც დასრულდა. სადებიუტო წლის შემდეგ 2019-2020 წლების სეზონი სრულიად განსხვავებული იყო ფეხბურთის თამაშის დონით, რაც სეზონის ბოლოსთვის უკვე დამაჯერებელი ფსიქოლოგიური უპირატესობის საფუძველი გახდა და კსუ ფუტსალის ლიგა 2-ის გამარჯვებული გახდა, რითაც ფუტსალის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. უმაღლეს ლიგაში ფუტსალის გუნდის დებიუტი შედგა 2020 წლის შემოდგომაზე. გუნდი გაძლიერდა გამოცდილი მოთამაშეებით, რაც სხვა დონეზე წარმოაჩენს პროფესიონალურ ფუტსალის გუნდს და იმედს აჩენს, რომ უმაღლეს ლიგაშიც კონკურენტული გუნდი იქნება.

ბიბლიოთეკა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავისუფალი აზროვნებისთვისაა შექმნილი. ბიბლიოთეკა დაპროექტებულია 150 სტუდენტზე. აქვს 25 000 - ზე მეტ წიგნზე გათვლილი ღია, თავისუფალი დაშვების წიგნსაცავი. მოწყობილია კომფორტული სამკითხველო ზონა 70-ზე მეტი სტუდენტისთვის. შექმნილია იზოლირებული შეხვედრების ოთახები და საკონფერენციო, ტრენინგ ოთახი.

2020 წლის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები

- Ebsco EP Package Elite;
- EBSCO EP Package Elite;
- Academic Search Elite;
- Business Source Elite;
- Regional Business News;
- Newspaper Source;
- MasterFILE ELITE;
- ERIC (the Education Resource Information Center);
- GreenFILE;
- Library Information Science & Technology Abstracts (LISTA).

EIFL - ელექტრონული რესურსების საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან ხელშეკრულება განახლდა 2020 წლის იანვარში. მოიცავს შემდეგ ბაზებს :

1. Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>);

2. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>);
3. Edward Elgar Publishing Journals (<https://www.elgaronline.com/>);
4. SAGE Journals (<https://journals.sagepub.com/>);
5. IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE/>);
6. Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>);
7. e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>);
8. Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/>);
9. Openedition Journals (<https://www.openedition.org/>).

2020 წლის 3 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“;

1. განახლდა საძიებო კომპიუტერული სისტემა კოდექსი.
2. ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა „OpenBiblio“.
3. ელექტრონული ბაზების განახლება მოხდა - სამართალმცოდნეობის პროგრამის მოთხოვნით, 4 თებერვალი, 2020-ში ხელშეკრულება განახლდა ელექტრონული ბაზების პაკეტზე - Heinonline Legal Classics - ზე;
4. HEINONLINE Legal Classics - ბაზა მოიცავს 10 ათასობით საუკეთესო ჩანაწერს, რაც კი არსებობს სამართლის ისტორიაში. მათ შორის არის Joseph Story, Jeremy Bentham, William Blackstone, William Holdsworth, Henry Maine, Frederick William Maitland, Frederick Pollock, Benjamin N. Cardozo-ის ნაშრომები; 2020 წლის იანვარში ხელშეკრულება განახლდა **The American Society for Enology and Viticulture**-თან.

ტრენინგები და ღონისძიებები

2020-04-30 **ონლაინ სემინარი საქართველოს ბიბლიოთეკარების დღესთან დაკავშირებით.**

30 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, საქართველოს ბიბლიოთეკარების დღესთან დაკავშირებით, გამართა ონლაინ სემინარი, ქვეყანაში მოქმედ სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად, თემაზე - კორონავირუსული ინფექციის გავლენა საბიბლიოთეკო საქმიანობაზე და ახალ გამოწვევებთან გამკლავება.

2020-09-30 - **საბიბლიოთეკო კონსორციუმის EIFL 2020 წლის გენერალური ასამბლეა**

30 სექტემბერს საბიბლიოთეკო კონსორციუმის EIFL (Electronic Information for Libraries; <https://eifl.net/>) 2020 წლის გენერალური ასამბლეა ვირტუალურ ფორმატში გაიმართა.

კონფერენციაზე განხილული საკითხები ეხებოდა საავტორო უფლებებს, ხელშეკრულებებსა და ლიცენზირების პროგრამებს, დისტანციურ და ღია წვდომას, საჯარო ბიბლიოთეკების ინოვაციურ პროგრამებსა და სხვ.

2020-11-25 - **ევროპის ღია მეცნიერების “CLOUD EOSC”-ის დისტანციური შეხვედრა**

25 ნოემბერს საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენამ“ ევროკომისიის “NI4OS-Europe“ პროექტის ფარგლებში, ონლაინ პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით ჩაატარა ევროპის ღია მეცნიერების “Cloud EOSC“-ის შეხვედრა.

“NI4OS- Europe“ არის პროექტი, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ღია მეცნიერების Cloud-ის ინიციატივების, სერვისების და ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 15 ქვეყანაში. პროექტი მიზნად ისახავს რეგიონის მკვლევრებს საშუალება

მიეცეთ შეინახონ, მართონ, გააანალიზონ და გააზიარონ მეცნიერული მონაცემები, რაც მათი მუშაობის ეფექტურობის გაღრმავებას და მეცნიერებაში ინოვაციების დანერგვას შეუწყობს ხელს.

2020-12-23 - პანელური დისკუსია - თემაზე: თანამედროვე ბიბლიოთეკის განვითარების მოდელები

23 დეკემბერს 18 საათზე, დისტანციურ ფორმატში, ჩატარდა პანელური დისკუსია - თემაზე: თანამედროვე ბიბლიოთეკის განვითარების მოდელები.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურზე ფუნქციონირებს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი) - აქტიური სტუდენტი - 144;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: ასოცირებული პროფესორი - თამარ კვიციანი) - აქტიური სტუდენტი - 272;
- მედიის კვლევების და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი) - აქტიური სტუდენტი - 10;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: პროფესორი ვახტანგ მისაია) - აქტიური სტუდენტი - 40;
- პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: ასოცირებული პროფესორი თამარ კვიციანი) - აქტიური სტუდენტი - 50.

2020 წელს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა იმუშავა ახალ სადოქტორო პროგრამაზე. შეიქმნა მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი (პროგრამის ხელ-ლი: პროფესორი ხათუნა კაჭარავა);

ასევე, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) მხარდაჭერითა და Master's degree program in Global policy and Security studies ფარგლებში, შეიქმნა გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: პროფესორი ვახტანგ მისაია) და ავტორიზაციის მიღების მიზნით წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამა შედგება სამხედრო, ეკონომიკური და საინფორმაციო უსაფრთხოების მოდულების, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისაგან.

აკადემიური პერსონალი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) ჯამურად

შეადგენს 43-ს; აქედან აკადემიური პერსონალია 27, პროფესორი - 4; ასოცირებული პროფესორი - 22 და ასისტენტი - 1;

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 24-ს, აქედან 4 აფილირებული პროფესორია, 19 - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, 1 - აფილირებული ასისტენტი. სასწავლო პროცესში ჩართულია 16 მოწვეული პერსონალი.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი 19 მეცნიერი. მათ შორის: 3 - პროფესორი, 16 - ასოცირებული პროფესორი; პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 20 მოწვეული პროფესორიც.

ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან აფილირებულია 3 პროფესორი და 13 -ასოცირებული პროფესორი.

2020 წელს ჩატარებული ღონისძიებები:

- საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;
- გამოქვეყნდა არაერთი მონოგრაფია, წიგნი, სტატია, მოხსენება; იყო სამეცნიერო ვიზიტები, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, საჯარო ლექციები, გრანტებში მონაწილეობა და სხვა;
- „Erasmus+” პროგრამის ფარგლებში „ოსტროვიეცის ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის“ (პოლონეთი) ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის ვიცე-რექტორმა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა - სტეფან სუმკამ და ასოცირებულმა პროფესორმა - მარიან ქიჩონიმ ჩაატარეს საჯარო ლექცია თემაზე - „პოლონეთის კრიზისების მართვის სისტემა“;
- 10 მარტს მოეწყო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორი „ოსტროვიეცის ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტის“ (პოლონეთი) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება - ონლაინ სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ;
- 18 მაისს ჩატარდა ონლაინ ლექცია თემაზე - „ბიოლოგიური ომისა და ბიოტერორიზმისაგან მომდინარე გლობალური საფრთხეები“;
- ჩატარდა **ექსპერიმენტული სამეცნიერო-პრაქტიკული ტელესიმპოზიუმი** - „ახალი გამოწვევები: კონსოლიდაცია უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის“ - <https://nikolozg.wixsite.com/symposium>;
- **16.11.2020** - საერთაშორისო სამეცნიერო ტელესიმპოზიუმის ჩარჩოში ჩატარდა **ონლაინ მრგვალი მაგიდა**, რომელიც მიეძღვნა ჰუმანური პედაგოგიკის ერთ-ერთ დამაარსებლის - იან კომენსკის გარდაცვალების 350 წლისთავს და გაეროს მიერ აღიარებულ „შემწყნარებლობის საერთაშორისო დღეს“;
- **02.12.2020** - ჩატარდა აკადემიკოს ილია ვეკუას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ტელესიმპოზიუმი „კრიზისების და კატასტროფების მოდელირება და მართვა: მეცნიერების გამოუყენებელი შესაძლებლობები“.

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის ფაკულტეტის სამივე საფეხურზე მუშაობს 3 საგანმანათლებლო პროგრამა:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელ-ლი: სერგო ჭელიძე - პროფესორი) - აქტიური სტუდენტი - 349; სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - ლევან მოსახლიშვილი) აქტიური სტუდენტი - 65; სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - მინდია უგრეხელიძე - პროფესორი) აქტიური სტუდენტი - 27.

აკადემიური პერსონალი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 22-ს (20 აფილირებული) - მათ შორის, პროფესორი - 2; ასოცირებული პროფესორი - 15; ასისტენტ-პროფესორი - 3; ასისტენტი -2; პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 18-ს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 17-ს (17 აფილირებული) - მათ შორის, პროფესორი - 2; ასოცირებული პროფესორი - 11; ასისტენტ-პროფესორი - 2; ასისტენტი -2; პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 4-ს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 20-ს (13 აფილირებული) - მათ შორის, პროფესორი - 5; ასოცირებული პროფესორი - 13; პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 17-ს.

2020 წელს ჩატარებული ღონისძიებები:

- გამოიცა საფაკულტეტო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის რამდენიმე ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა სამართლის ფაკულტეტის პროფესორების სამეცნიერო სტატიები;
- გამოიცა კრებული - „საკონსტიტუციო იდეები და პროცესები ქართულ პუბლიცისტიკაში - 1990-1995“;
- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა სერგო ჭელიძემ, უნივერსიტეტის დაფინანსებით, თებერვლის თვეში მონაწილეობა მიიღო უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ ყოველწლიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში;
- აფილირებულმა ასოც. პროფესორმა რ. მიგრიაულმა დაასრულა მუშაობა სამეწარმეო სამართლის სახელმძღვანელოზე, რომლის დაბეჭდვა-გამოცემა დააფინანსა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა;
- აფილირებულმა ასისტენტ პროფესორმა ვ. ყურაშვილმა დაასრულა აღსრულების სამართლის სახელმძღვანელოზე მუშაობა, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება;
- გამოიცა სამართლის ფაკულტეტის ჟურნალის - „იურიდიული მაცნე“ - მე-3 ნომერი.

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი

ფაკულტეტზე ხორციელდება ორი საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის თანახემდღვანელები - ოლან გოცირიძე, დავით მალრაძე).
2. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის ხელმძღვანელი - ოლან გოცირიძე).

ფაკულტეტზე სწავლობს და აქტიური სტატუსი აქვს 149 სტუდენტს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განსახორციელებლად დღეისათვის აკადემიურ თანამდებობაზეა **სულ 12 პროფესორი, მათ შორის, 1 - მეცნიერი, 2 - პროფესორი, 8 - ასოცირებული პროფესორი, 2 - ასისტენტ პროფესორი. მოწვეულია 14 ლექტორი.**

ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორია, 1 - აფილირებული ასისტენტ პროფესორი; სულ - 6.

2020 წლის შედეგები -

- საანგარიშო პერიოდში აკრედიტაცია გაიარა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ და მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მერვე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც პანდემიის გამო ჩატარდა დისტანციურად (ნოემბერი, 2020), მოქმედებდა მევენახეობა-მეღვინეობის სექცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის სამმა და საბაკალავრო პროგრამის ერთმა სტუდენტმა;
- ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობით შესრულდა კვლევითი პროექტი - „ვაზის იშვიათი ჯიშებისა და მათი ველური ნათესავების ამპელოგრაფიული აღწერა რაჭა-ლეჩხუმიდან და კახეთიდან“, რომელმაც გაიმარჯვა კსუ-ს მცირე გრანტების კონკურსში;
- 2020 წლის 8-16 თებერვალს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანი, კსუ-ს საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელთან ერთად, მივლინებული იყო ესპანეთში, სადაც გაიმართა მე-6 საერთაშორისო ტრადიციული „რადიკალური ღვინის ფესტივალი“. ამ ფესტივალის მუშაობაში სტუმრის რანგში მიწვეული იყო კსუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი და მარანი „კოლხი“;
- შედგა ვიზიტი ბურგოსისა და ლა რიოხას უნივერსიტეტებში, „იმიდრაა“ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში;

- 3 სტუდენტის მივლინება უკრაინაში Erasmus+ პროგრამის პროექტის - „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის აგრო-სასურსათო სპეციალისტების ლაბორატორიული პრაქტიკის უნარების გაუმჯობესება“ - ფარგლებში.
- ონლაინ ღვინის ფესტივალი.

2020 წელს მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პარტნიორთა სიას დაემატა:

1. შპს „აგუნა“;
2. შპს „მეღვინეობა მტევინო“;
3. შპს ღვინის კომპანია „შუმი“;
4. ალკალას უნივერსიტეტი (მადრიდი, ესპანეთი) – The University of Alcalá De Henares, (Madrid, Spain);
5. ლა რიოხას უნივერსიტეტი (ესპანეთი) – The University of La Rioja (Spain);
6. მოლდოვას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი (ჩისინაუ, მოლდოვა)– State Agrarian University of Moldova (UASM), Chisinau, Moldova.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ კომპანიებთან და კვლევით ცენტრებთან:

- შპს „ახალშენი 2005“;
- შპს „ღვინის ლაბორატორია“;
- მეღვინეობისა და მევენახეობის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი;
- საქართველოს საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი;
- სს „სარაჯიშვილი“;
- „ქინძმარაულის მარანი“;
- „შავნაბადას მონასტერი“;
- შ.პ.ს „ვაზისა და ღვინის ჯგუფი“;
- შ.პ.ს. „პავილიონ ვაინს“;
- შ.პ.ს. „შალღვინო“;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი, რომელშიც გაერთიანებულია:
 - „ალავერდის მონასტრის მარანი“;
 - ქვევრის სკოლა-აკადემია „იყალთო“;
 - ქართული ღვინის კულტურის ცენტრი;

საერთაშორისო დონეზე:

- ფლორენციის უნივერსიტეტთან (Università degli Studi di Firenze);
- უდინის უნივერსიტეტთან (Università degli Studi di Udine);
- ERASMUS + ლუბლიანას უნივერსიტეტი (PIC number 999923240 University of Ljubljana);
- ბურგოსის უნივერსიტეტთან (Burgos University);
- ერაზმუს + (KA1) ერთობლივი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა - ღვინის ტურიზმის ინოვაციებში: EAC/A05/2017-2018-EMJMD.

ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ფაკულტეტზე 8 საგანმანათლებლო პროგრამა:

1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
6. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
7. საერთაშორისო მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
8. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ფაკულტეტის ყველა საფეხურზე სწავლობს და აქტიური სტატუსი აქვს 594 სტუდენტს. 2020 წელს სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად;

აკადემიური პერსონალი

ფაკულტეტს ემსახურება 2 აფილირებული პროფესორი, 22 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი; 2 აფილირებული ასისტენტი; მოწვეული პროფესორები; ჯამში ფაკულტეტს ემსახურება 36 აკადემიური პერსონალი.

2020 წელს პარტნიორული ქსელის გაფართოების მიზნით გაფორმდა მემორანდუმები -

- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან;
- აფხაზეთის ა.რ. მთავრობასთან;
- ტურისტულ კომპანია - „გალერი თრაველ თბილისთან“;
- სასტუმროთა ქსელ „კოპალასთან“;
- ტურისტულ კომპანია „ტოტალ ტრეველთან“;
- შპს სასტუმრო „ალაზნის ველთან“.

2020 წელს ფაკულტეტზე ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა -

- პანელური დისკუსია თემაზე: თანამედროვე ბიბლიოთეკის განვითარების მოდელები 12.23.2020;
- „მეცნიერება კაპიტანია“ ფარგლებში, ვირტუალური სამეცნიერო ბაზრობა-ორგანიზებული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდის მიერ. 27.11.2020;
- „ევროპის ღია მეცნიერების “CLOUD EOSC”-ის დისტანციური შეხვედრა-საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“ მიერ ორგანიზებული -15.11.2020;
- ონლაინ ტრენინგ-კურსი თემაზე: „წარმატებული მოლაპარაკების ხელოვნება“ - 19.10, 2020 წ.
- ჩატარდა საჯარო ლექციები.

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს შემდეგი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა;
3. მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
5. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;
6. თერაპიული სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამა.

ფაკულტეტს ემსახურება 8 აფილირებული პროფესორი, 22 აფილირებული ასოცირებული პროფესორი; 15 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი; 2 აფილირებული ასისტენტი; მათ შორის - 2 უცხოელი პროფესორი; მოწვეული პროფესორები; ჯამში ფაკულტეტს ემსახურება 80 აკადემიური პერსონალი.

ფაკულტეტის ყველა საფეხურზე სწავლობს და აქტიური სტატუსი აქვს 1890 სტუდენტს. აქედან 124 უცხოელი სტუდენტია. ამჟამად ფაკულტეტზე სწავლობს საფრანგეთის, პოლონეთის, პორტუგალიის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ირანის, ერაყის, თურქეთის, სირიის, მაროკოს, ნიგერიის, ეგვიპტის, ინდოეთის, ისრაელის, დიდი ბრიტანეთის 700-ზე მეტი მოქალაქე. მათი რიცხვი ყოველ სემესტრში მნიშვნელოვნად იზრდება.

2020 წლის შედეგები

- განახლდა წიგნადი ფონდი მოთხოვნების შესაბამისად - მედიცინის, სტომატოლოგიის ინგლისურენოვან, ფარმაციის ქართულენოვან პროგრამებზე, ნაწილობრივ განახლდა ქართულენოვანი მედიცინის პროგრამაზეც;
- 2020 წელს ფაკულტეტზე განხორციელდა მედიცინის ქართულენოვანი პროგრამის ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება და აკრედიტაცია;
- კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება როგორც კურიკულუმში, ასევე, ზოგადად, ფაკულტეტზე, სტუდენტთა უფრო ფართო მასების ჩართვით;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მოპოვება;
- საერთაშორისო გრანტების მოპოვება განსაკუთრებით კვლევითი პროექტებში;
- სადოქტორო პროგრამის შემუშავება;
- კლინიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესება;
- ლაბორატორიული სწავლების გაუმჯობესება;
- ჰიბრიდული სწავლების პროცესის გაუმჯობესება;
- პერსონალის ტრენინგი სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში;
- ტრენინგების ორგანიზება;
- ახალი ფასეული აკადემიური კადრის მოზიდვა;
- შემდგომი ინტერნაციონალიზაცია;
- უნარ-ჩვევების ცენტრის შემდგომი განვითარება;
- ონლაინ სწავლების გაუმჯობესება OSCE OSPE გამოცდების ფართო დანერგვა;
- ტელემედიცინის ცენტრის ჩამოყალიბება;
- დიპლომის შემდგომი განათლების კურსებისა და სარეზიდენტო პროგრამების

ფართო დანერგვა.